MES 7 24 0001628955

19/12/2024

ანხმობა სსიპ - ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N163 საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებული 272,49 კვ.მ. 15,94 კვ.მ. და 314,38 კვ.მ. ფართების იჯარით გადაცემაზე (საკადასტრო კოდი: N01.17.06.013.001)

ᲡᲡᲘᲞ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ

49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი
0179 თბილისი, საქართველო
ტელ:1420
info@nasp.gov.ge

9 / დეკემბერი / 2024 წ.

KA021743093043624

№ 5/72515

სსიპ - ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N163 საჯარო სკოლას

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 17.12.2024წ. № MES 5 24 00001618369 წერილი, რომელშიც დასმულია საკითხი ქონების იჯარის უფლებით გაცემის შესახებ.

გაცნობებთ, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობის შემთხვევაში არ არის წინააღმდეგი, აუქციონის წესით, იჯარით გაიცეს თქვენს წერილში მითითებული ქონება, იმ შემთხვევაში, თუ მოიაღნიშნული ქონება, სსიპ - ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №163 საჯარო სკოლას სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს კანონით დადგენილი წესით და იმ პირობით, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს 2 (ორი) კვირის ვადაში გაუქმებული იქნება საიჯარო ხელშეკრულება, რაც უნდა წარმოადგენდეს სკოლის მიერ გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების აუცილებელ პირობას.

ამასთან, სარგებლობის საფასური უნდა განისაზღვროს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის, „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/სარეალიზაციო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო თანხის/საწყისი სარეალიზაციო საფასურის, სარგებლობაში გადაცემის საფასურისა და საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის №570 დადგენილებით დამტკიცებული წესის მოთხოვნების შესაბამისად.

ამ პირობათა დარღვევის (შეუსრულებლობის) შემთხვევაში, სსიპ - ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის № 163 საჯარო სკოლის მიერ დადებული იჯარის ხელშეკრულება განიხილება უცილებელი თანხმობის გარეშე დადებულ გარიგებად.

საჯარო სექტორთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ნუგზარი წამალაშვილი